

გიორგი დათუკიშვილი

Tuscia/Italy

„მარადიული ქვეყანა, ადგილი სადაც იმპერატორის სიზმრებს მიქელანჯელო სიცოცხლეს სძენდა“
- წარმოდგენელია არ მოიხიბლო იტალიით რომელიც იმპერიის, დემოკრატიის და საუკუნოვანი განათლების სანიმუშო კერაა. ეს ქვეყანა „გლადიატორებიდან“ „ფერარამდე“ გასაოცარი და დაუვიწყარია. სწორედ განათლება მისი ერთერთი ძლიერი მხარეა.

ქალაქი ვიტერბო და მისი ტუმას უნვერსიტეტი, სწორედ ის გარემოა სადაც ნებისმიერი ადამიანი ისურვებდა მოხვედრას, რადგან თანამედროვე მიდგომები და ძველი ანტიკური გარემო საოცარ ტანდემს ჰქმნის.